ბიზნეს სექტორი

ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2009 წელს საწარმოთა **მთლიანმა ბრუნვამ** 20302.2, ხოლო **პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ** – 11003.1 მილიონი ლარი შეადგინა.

მთლიანი ბრუნვა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი საწარმოები – 84.4 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 8.4 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 7.2 პროცენტი.

ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა **პროდუქციის მთლიანი გამოშვების** შემთხვევაში:

- მსხვილი საწარმოები – 81.5 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 10.5 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 8.0 პროცენტი.



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა **საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა** წლის განმავლობაში 15003.8, ხოლო **გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა** - 9565.3 მილიონი ლარი შეადგინა.

საქონლისა და მომსახურების მთლიანი ყიდვები საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი საწარმოები – 84.5 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 8.0 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 7.5 პროცენტი.

თითქმის იდენტური ვითარებაა **გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდ-ვებზეც**:

- მსხვილი საწარმოები – 86.3 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 6.7 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 7.0 პროცენტი.

საწარმოთა მიერ განხორციელებულმა **მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ კაპიტალში** შეადგინა 2157.8 მილიონი ლარი, რაც საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი საწარმოები – 88.0 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 7.3 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 4.7 პროცენტი.

საწარმოებში **დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ** 387463 პირი შეადგინა, რომელთაგან 39.1 პროცენტი ქალია, ხოლო 60.9 პროცენტი - კაცი.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი საწარმოები – 57.6 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 20.2 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 22.2 პროცენტი.

მსგავსი ტენდენციაა ცალკეული სექსის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის საწარმოს ზომის მიხედვით განაწილებაშიც:

ქალები

- მსხვილი საწარმოები – 53.5 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 23.1 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 23.4 პროცენტი.

კაცები

- მსხვილი საწარმოები – 60.3 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 18.3 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 21.4 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



საწარმოებში **დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ** 369396 პირი შეადგინა, რომელთაგან 39.6 პროცენტი ქალია, ხოლო 60.4 პროცენტი - კაცი.

დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- მსხვილი საწარმოები – 60.3 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 21.0 პროცენტი,

- მცირე საწარმოები – 18.7 პროცენტი.

დაახლოებით მსგავსი ტენდენციაა ცალკეული სქესის მიხედვით დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობის საწარმოს ზომის მიხედვით განაწილებაშიც:

ქალები

- მსხვილი საწარმოები – 55.3 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 23.8 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 20.9 პროცენტი.

კაცები

- მსხვილი საწარმოები 63.6 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 19.1 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 17.3 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესში დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



საწარმოთა **მთლიანმა დანახარჯებმა პერსონალზე** შეადგინა 2419.0 მილიონი ლარი, რომლის განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგია:

- მსხვილი საწარმოები – 76.7 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 13.9 პროცენტი,
- მცირე საწარმოები – 9.4 პროცენტი.

საშუალო თვიურმა ხელფასმა ბიზნეს სექტორში შეადგინა 538.1 ლარი, მათ შორის ქალების - 391.7 ლარი. საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი საწარმოები – 682.3 ლარი,
- საშუალო საწარმოები – 359.5 ლარი,
- მცირე საწარმოები – 273.2 ლარი.

საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 47.1 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 14.3 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 14.1 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 8.6 პროცენტი,
- „ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება“ – 6.4 პროცენტი.

საქმიანობის სახეების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში პრევალირებენ „დამამუ-შავებელი მრეწველობა“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 25.6 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 18.3 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 15.9 პროცენტი,
- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 14.6 პროცენტი,
- „ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება“ – 7.1 პროცენტი.



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში პრევალირებენ „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 17.3 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 17.1 პროცენტი,
- „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“ – 13.8 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 13.3 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 11.2 პროცენტი.

განსხვავებული ტენდენციაა ცალკეული სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის საქმიანობის სახეების მიხედვით განაწილებაში:

დასაქმებულ ქალთა მთლიან რაოდენობაში პრევალირებენ „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“ – 28.1 პროცენტი,

- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 18.9 პროცენტი,
- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 14.4 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 7.8 პროცენტი,
- „განათლება“ – 6.3 პროცენტი,
- „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 6.3 პროცენტი.

დასაქმებულ კაცთა მთლიან რაოდენობაში კი პრევალირებენ „დამამუშავებელი მრეწველობა“ და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით:

- „დამამუშავებელი მრეწველობა“ – 18.8 პროცენტი,
- „მშენებლობა“ – 17.2 პროცენტი,
- „ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“ – 16.8 პროცენტი,
- „ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“ – 16.3 პროცენტი,
- „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“ – 8.6 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს ცალკეულ სექტორებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში პრევალირებენ ქალაქი თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქალაქი თბილისი – 74.9 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6.6 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 5.1 პროცენტი,
- იმერეთი – 4.3 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში პრევალირებენ კვლავ ქალაქი თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქალაქი თბილისი – 67.9 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 10.2 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 5.6 პროცენტი,
- იმერეთი – 4.4 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.3 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს რეგიონების (ქალაქ თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:



რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება ხასიათდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქალაქი თბილისი – 58.0 პროცენტი,
- იმერეთი – 9.1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.1 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 7.3 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.4 პროცენტი.

მცირედ განსხვავებული ტენდენციაა ცალკეული სქესის მიხედვით დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის რეგიონების მიხედვით განაწილებაში:

დასაქმებული ქალები:

- ქალაქი თბილისი – 58.8 პროცენტი,
- იმერეთი – 9.0 პროცენტი,

- აჭარის ა.რ. – 8.6 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6.4 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.1 პროცენტი.

დასაქმებული კაცები:

- ქალაქი თბილისი – 57.4 პროცენტი,
- იმერეთი – 9.2 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 8.0 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 7.7 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 5.6 პროცენტი.

შემდეგი დიაგრამა ასახავს ცალკეულ რეგიონებში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები J, L, P, Q,
- 52.62.2 (საცალო ვაჭრობა ბაზრებსა და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქალაქ თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „გაერთიანებული ტელეკომი“
5. შპს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

4. რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია:**

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev. 1.1.)

სექციების ნუმერირება და დასახელებები

A	„სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა“
B	„თევზჭერა, მეთევზეობა“
C	„სამთომოპოვებითი მრეწველობა“
D	„დამამუშავებელი მრეწველობა“
E	„ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება“
F	„მშენებლობა“

G	„ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“
H	„სასტუმროები და რესტორნები“
I	„ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა“
J	„საფინანსო საქმიანობა“
K	„ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა“
L	„სახელმწიფო მმართველობა“
M	„განათლება“
N	„ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება“
O	„კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა“
P	„შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის“
Q	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა“